ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4431902

ნომერი: AR1669873

თარიღი : 21.03.2019

გაცემის თარიღი : 26.03.2019

გაცნობის თარიღი : 27.03.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 74;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ღლონტი პ/ნ 01012014468
- ს.ჩიქოვანის 24 ა

ორგანიზაცია:

- სს"ლიბერთი ბანკი'' კოდი: 203828304

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:
1. ფოტომონტაჟი -> .ფოტომონტაჟის pdf ფაილი : საპროექტო გენ-გეგმაზე დაიტანეთ საკადასტრო საზღვარი და გაითვალისწინეთ: თუ აღნიშნული სამუშაოები იგეგმება საკადასტრო საზღვრის გარეთ, წარმოსადგენი იქნება ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით.
2. ასევე, 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილების, მუხლი 3, ქვეპუნქტი 4-ის თანახმად : პანდუსის გრძივი მიმართულებით მოწყობილი შემაღლება უნდა იყოს სიგრძის 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში სიგრძის 8%). საფეხურები უნდა იყოს ყრუ, სწორი და ხორკლიანი ზედაპირით ამასთან გამონაშვერების გარეშე. საფეხურების განივ კიდეებში უნდა მოეწყოს 0,01 მეტრის შემაღლებები. კიბის ორივე მხარეს მოწყობილი მოაჯირების სიმაღლე უნდა იყოს 0,9 მეტრი, ხოლო სიგრძე, მარშის სიგრძესთან შედარებით 0,3 მეტრით მეტი ორივე მხარეს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს პანდუსის მოაჯირეები.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.